საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1968 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№18 (6607) 5 მაისი ხუთშაბათი 1994 წელი

რაიონის საკრებულოში

## ძველი თემები და პრობლემები

3 მაისს რაიონული საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა ქალაქის თემების — დაწესებულებათა ხელმძღვანელებისა და სხვა აქტივის თათბირი, რომელიც მიეძღვნა რაიონის სახალხო მეურნეობის განვითარების საკითხებს.

თათბირზე ინფორმაციებით გამოვიდნენ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები.

გამომსვლელებმა ხაზი გაუსვეს იმ პრობლემებსა და ნაკლოვანებებს, რომლებიც კვლავ დგას რაიონის სახალხო მეურნეობის წინაშე, არ იქნა და არ გადაწყდა რიგი საკითხები, რომლებსაც მშრომელები აყენებენ. სერიოზული პრობლემებია რაიონის სოფლის მეურნეობის წინაშე. იმის გამო, რომ მოუმზადებელი შევხვდით გაზაფხულს ტექნიკის გაუმართაობის, ამასთან საწვავის უქონლობის გამო, არ მუშაობს, შეიძლება ითქვას, მომსახურების საწარმოების არცერთი ტრაქტორი. ამ მიმართებით განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ქვედა ცაგერში, ლასურიაში, ლაილაშსა და ღვირიშში. აპრილის ბოლო დეკადასა და მაისის დასაწყისში შეიქმნა ცუდი კლიმატური პირობები, გაფუჭების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა ვენახები, ხოლო მომსახურების საწარმოებს ჯერჯერობით არავითარი შხამქიმიკატები არ შემოუტანიათ სოფლად, მხოლოდ დაპირებებით კვებავენ მოსახლეობას, რიგ სოფლებში მოსახლეობამ დაიწყო ვენახებისა და სხვა მრავალწლიანი ნარგავების ჭრა.

მნიშვნელოვნად აღინიშნა ის ფაქტი, რომ რაიონში მიმდინარეობს ფარული პრივატიზაცია, განსაკუთრებით სოფლად, სადაც ყოველგვარი საჯაროობის გარეშე იყიდება ყოფილი კოლმეურნეობების ქონება, აღინიშნა საგადასახადო ინსპექციის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა, რომ რაიონში ჯერ კიდევ მუშაობს კერძო ტრანსპორტი, რომელიც დაუბეგრავია. რაიონში კვლავ მწვავეა კრიმინოგენური სიტუაცია, იძარცვება საზოგადოებრივი ქონება, ისევ იგრძნობა დაუსჯელობის სინდრომი.

თათბირის ძირითადი მიზანი ის იყო, რომ შევაჩეროთ რაიონის სახალხო მეურნეობის უკუსვლა, გადავწყვიტოთ სადღეისო პრობლემები და ადამიანებს შევუქმნათ მუშაობისა და ცხოვრების ნორმალური პირობები.

თათბირის მუშაობა შეაჯამა რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ **კარლო მუშკუდიანმა.**

## ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის ბრძანებით უშიშროების ცაგერის რაიონული განყოფილების უფროსად დაინიშნა მაიორი ოლეგ გადურის ძე ბენდელიანი.

ოლეგ ბენდელიანი დაიბადა 1958 წელს ლენტეხის რაიონის სოფელ ხელედში. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ 1979—1984 წლებში მუშაობდა კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზე. ხოლო მას შემდეგ მუშაობს უშიშროების ორგანოებში.

ყავს მეუღლე და სამი შვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცაგერის რაიონის პროკურატურის

# განცხადება

ჩვენს რაიონში მიწის რეფორმის მიმდინარეობის რეგულირების, მოქალაქეთა შორის დავების კანონის შესაბამისად გადაწყვეტის მიზნით ცაგერის რაიონის პროკურატურა მიმართავს ყველა დაინტერესებულ პირს და დაწესებულებას.

1. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში მიწის რეფორმის ჩატარებისა და რეგულირების მიზნით შექმნილია სათანადო საკანონმდებლო ბაზა, მცდარია მოსახლეობის ერთ ნაწილში გავრცელებული აზრი თითქოსდა არ არსებობს შესაბამისი კანონი მიწის რეფორმასთან დაკავშირებით და ეს ხელს უშლის სოფლებში შექმნილ კომისიათა მუშაობას.

ამგვარი მცდარი აზრის გავრცელება ხელს აძლევს იმ პირებს, რომლებსაც არ სურთ მიწის რეფორმის კანონიერად განხორციელება, თავიდანვე მიეტმასნენ სოფლის მიწის რეფორმის კომისიებს, უკანონოდ მიიზომეს ნორმაზე მეტი ფართობი და ცდილობენ შეინარჩუნონ იგი. ეს ეხება იმ პირებსაც, რომლებიც თავიანთი თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ან სხვა უკანონო გზებით დაეუფლნენ ზედმეტ მიწის ნაკვეთებს. მათთვის გაცილებით ადვილია შეგნებულად გავრცელებული ტყუილით მოიგერიონ იმ თანასოფლელთა შემოტევა, რომლებიც მართალია, მძიმე მატერიალურ გაჭირვებას განიცდიან, მაგრამ კანონის შესაბამისად სურთ თავიანთი უფლებების განხორციელება.

მივმართავთ სოფლის საკრებულოს გამგეობებს, ყველა დაინტერესებულ პირსა და უწყებას—იქ, სადაც ჯერ კიდევ არ არის შექმნილი მიწის რეფორმის კომისიები ან ასეთები არსებობენ ფორმალურად, სოფლის მოსახლეობის ყრილობებზე შექმნან და კომპეტენტური პირებით დააკომპლექტონ ასეთი კომისიები, რის შემდეგ პირველ რიგში მოახდინონ კომლთა კატეგორიების მიხედვით გამიჯვნა, ფაქტობრივი აზომვით დაადგინონ თითოეული კატეგორიის კომლზე ნორმით გასაცემი მიწის ფართობის რაოდენობა და ყველა ეს მონაცემები კომლთა კატეგორიათა სიებთან ერთად გამოაკრას ყველასთვის თვალსაჩინო და მისაწვდომ ადგილზე.

მიწის რეფორმის სოფლის კომისიებმა თავიანთი მუშაობა უნდა წარმართონ საჯაროობის პრინციპებიდან გამომდინარე და შექმნან ყველა პირობა, რომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დაუყოვნებლივ ეცნობოს სოფლის მოსახლეობას არ დაუშვან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა დარღვევა, უზრუნველყონ მათი ზუსტი და განუხრელი განხორციელება.

2. იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგიერთი კომლის სახელზე, ზონარგაყრილ წიგნში რეგისტრირებული ფართობი არ შეესაბამება სინამდვილეს (უმეტეს შემთხვევაში მეტია) სოფლის საკრებულოს მიწათმომწყობებმა, შესაბამის კომისიებთან ერთად ადგილებზე მისვლით მოახდინონ ფართობის ფაქტობრივი აზომვა, შეადგინონ სათანადო ოქმი და ეს მონაცემები გაითვალისწინონ ამ პირთა საკარმიდამო ნაკვეთის ნორმის ფარგლებში მოქცევის დროს.

აზომვის სიზუსტეზე პასუხისმგებლობა დაეკისრება პირადად სოფლის საკრებულოს ხელმძღვანელობას და მიწათმომწყობებს.

3. მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვმარტოთ, რომ უკანონოა იმ პირთა მოქმედებები, რომლებიც მამაპაპისეულობისა თუ ადრინდელი საკუთრების მოტივით თვითნებურად ეუფლებიან მიწის ნაკვეთებს, არც თუ იშვიათად იჭრებიან იმ ნაკვეთებში, რაც მეორე მხარეს საკარმიდამო ნაკვეთად აწერია ან იკავებენ ნორმაზე მეტ მიწის ფართობს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ მიწის ადრინდელ მესაკუთრეს ან მათ მემკვიდრეებს მიწა მიეცემოდათ საერთო წესის საფუძველზე, ამასთან შესაძლებლობის შემთხვევაში მათ პირველ რიგში გამოეყოფოდათ ყოფილი მიწებიდან ნაკვეთი ნორმის ფარგლებში.

ამრიგად, როგორც ნათლად ჩანს, ჯერ კიდევ თავდაპირველ ნორმატიულ აქტში აღნიშნული იყო, რომ ე. წ. მამაპაპისეული მიწების გაცემა უნდა მომხდარიყო ჯერ ერთი საერთო წესის საფუძველზე, მეორეც —შესაძლებლობის შემთხვევაში ე. ი. არ უნდა დარღვეულიყო სხვა მხარის კანონიერი უფლებები და მესამეც—ნორმის ფარგლებში. მიუხედავად ამ პუნქტის ერთი შეხედვით გასაგები აზრისა მან საკმაოდ მწვავე ხასიათის კონფლიქტური სიტუაციები შექმნა როგორც ჩვენს რაიონში ასევე მთელი რესპუბლიკის მაშტაბით და სწორედ ეს გახდა საფუძველი, როდესაც მინისტრთა კაბინეტმა თავისი 1993 წლის 16 იანვრის №39 დადგენილებით გააუქმა მემკვიდრეთა და ყოფილ მეპატრონეთა უფლება მიწის პირველ რიგში მიღების თაობაზე.

ამის შესახებ ჩვენს რაიონში, სამწუხაროდ, ზოგიერთმა ჯერ კიდევ ვერ გაიგო, ან უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა, რომ არ სურთ გაიგონ და განაგრძობენ უკანონო მოქმედებებს.

ამ მხრივ ცაგერის რაიონის პროკურატურა მიიღებს მის კომპეტენციაში შემავალ ყველა კანონიერ ზომას, რათა აღიკვეთოს თვითნებობები და არ დაუშვებს ნორმაზე მეტ მიწის ნაკვეთზე საკუთრების აქტის გაცემას.

4. ცაგერის რაიონის პროკურატურა შეშფოთებას გამოთქვამს აგრეთვე იმ ფაქტების გამო, რომ ზოგიერთი პირი ტყის ზოლს ჩეხავს მიწის დაკავების მიზნით. ეს ყოვლად დაუშვებელია და საჭიროა ყველა მოწოდებული უწყებისა და თანამდებობის პირთა მხრიდან მიღებული იქნეს ყველაზე მკაცრი კანონიერი ზომები.

ამ მხრივ სოფლის საკრებულოს გამგეობებმა პირველ რიგში უნდა მიიღონ ზომები და მომხდარი ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ გვაცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს.

5. ვთხოვთ ყველა მოქალაქეს, ვინც მიწის საკითხთან დაკავშირებით განცხადებით მომართავენ პროკურატურას, მათთვის საინტერესო საკითხის ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით თავდაპირველად მიმართონ შესაბამის საკრებულოებს, მოითხოვონ წერილობითი პასუხი და დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სათანადო საბუთების თანდართვით მობრძანდნენ პროკურატურაში.

ჩვენ გვწამს და ვიმედოვნებთ, რომ მოქმედი კანონმდებლობის დაცვით სრულად შესაძლებელია რაიონში მიწის რეფორმის სამართლიანი და დროული განხორციელება.

ავთანდილ მაღრაძე,
ცაგერის რაიონის პროკურორი.

## ყურადღება!

ცაგერის რაიონული საკრებულოს გამგეობის განკარგულებით დანიშნულია საავტობუსო მარშრუტი ცაგერი—ქუთაისი, ქუთაისი—ცაგერის მიმართულებით, რომელიც უფასოდ მოემსახურება რაიონში მცხოვრებ ლტოლვილებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს შემდეგი გრაფიკით: მაისი—3 და 27 რიცხვებში; ივნისი—7 და 24 რიცხვებში; ივლისი—5 და 22 რიცხვებში.

ავტობუსი ცაგერიდან გავა დილით 9 საათზე, ქუთაისიდან გამოვა საღამოს 5 საათზე.

რაიონული საკრებულოს გამგეობა.

ჩვენ და ეკლესია

ბრწყინვალე შვიდეული... აღდგომის მადლით გაბრწყინებული დღეები. ტაძარში ყოველდღე შეგიძლიათ დაესწროთ საღვთო ლიტურგიას. მამა იოანე ისევე გულმოდგინეა წირვა-ლოცვის დროს, როგორც დიდმარხვაში და განსაკუთრებით ვნების კვირაში. ჭეშმარიტად ღვთიური დღეები იყო — დიდი ორშაბათიდან ხუთშაბათამდე მთელი ოთხთავი წაუკითხა მრევლს, დიდ ხუთშაბათს წესისამებრ შვიდგზის აკურთხა და ცხო ზეთი მორწმუნეებს, მერე წირვა აღავლინა. სწორედ ხუთშაბათს დააწესა მაცხოვარმა ზიარების წმინდა საიდუმლო, ამიტომაც ეწოდა ამ დღეს დიდი, და ამიტომაც არის იმდღევანდელი ზიარება ყველაზე მნიშვნელოვანი. მერე იყო ვნების პარასკევი — კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ტრაგიკული და ყველაზე ამაღლებული — ქრისტეს ჯვარცმის დღე. ამ დღის უმნიშვნელოვანესი მოვლენა — გარდამოხსნის გამოსვენება — უფრო ამაღელვებელს იშვიათად თუ ნახავ რამეს. და ბოლოს დიდი შაბათი და კვირიაკეს დადგომისას ბრწყინვალე აღდგომა უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ხალხით სავსე ტაძარი, მისალოცი ხვევნა—ამბორი: ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად! მერე სადღესასწაულო წირვა, წითელი კვერცხებისა და პასკების კურთხევა, „ქრისტე აღსდგას“ გალობა... ბოლოს მამა იოანემ დატეხა საგანგებოდ გამომცხვარი პასკა და დაურიგა მორწმუნეებს. ასე გავიხსნილეთ დილის ოთხ საათზე, შემდეგ კი 9 საათზე წირვა ტრაპეზის სახით გაგრძელდა ერთ-ერთი მორწმუნის ოჯახში. მეორე დღეს, ორშაბათს, რომელიც წმინდა მართლმადიდებელმა ქრისტიანულმა ეკლესიამ მიცვალებულთა მოსახსენებლად დააწესა, მორწმუნენი ნაკურთხი პასკებითა და შეღებილი კვერცხებით გავიდნენ ახლობილთა საფლავებზე, მამა იოანემ კი პანაშვიდი გადაიხადა. იმავე დღეს ლეჩხუმს ეწვია და ტაძარი მოინახულა ცაგერ—ლეჩხუმ—სვანეთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა მეუფე თადეოზმა. გადახდილ იქნა სამადლობელი პარაკლისი. ალბათ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ უფლის ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული ამგვარი ჭეშმარიტი ეკლესიური ზეიმურობით ცაგერში პირველად აღინიშნა. მრავალმა ჩვენგანმა ბევრი რამ პირველად ნახა და გაიგო, პირველად ეზიარა ჭეშმარიტ ქრისტიანობას და ეს ყველაფერი მამა იოანეს ღვაწლით.

...ინტერვიუზე უარი რომ მითხრა, არ გამკვირვებია, თუმცა მართალი გითხრათ, მეწყინა. ვისაც ღვთის სიტყვის მოსმენა სურს, ტაძარში მოვიდეს და მოისმინოს. შევბედე — ლეჩხუმი არც ისე პატარაა, სოფლებიდან შეძლოს — მეთქი სიარული ხალხმა. მაინც ვერ დავითანხმე — მეუფეს ჩამორთმეული ინტერვიუ შემდეგი ჩამობრძანებისას. ვერაფრით გავტეხე მისი თავმდაბლობის სიჯიუტე, ამიტომ იძულებული ვარ შემოგთავაზოთ ფსევდოინტერვიუ, შედგენილი ჩვენი, მოძღვრისა და მორწმუნის ჩვეულებრივი საუბრების ნაწყვეტებიდან.

# ...რომელნი კეთილად წინამძღვრობენ

ინტერვიუს მაგიერ

**იოანე როსტიაშვილი. 27 წლის. დაიბადა ქ. თბილისში. სკოლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა საბჭოთა არმიაში. სწავლობდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. იყო კომკავშირელი. ნახა ჩვენება. მიატოვა ინსტიტუტი. მუშაობდა ელმავალმშენებელ ქარხანაში (რათა უქმად არ ყოფილიყო), დადიოდა ეკლესიაში. ჰყავს მორწმუნე მეუღლე და ორი შვილი. ორი წლის წინ დიაკვნად აკურთხეს, 1993 წლის თებერვალში კი მღვდლად. ამ ასაკის კაცისთვის ეს სწრაფი კარიერაა. ცაგერში გამწესებამდე ორი ეკლესიის მრევლი ებარა: ერთისა — გლდანში, მეორესი — კახეთში..**

—მამაო, რამდენჯერმე შეგამჩნიეთ გაოცება ეკლესიაში მორწმუნეთა ქცევისა და ზოგი ჩვენი ტრადიციის თუ შეხედულების გამო. როგორც ჩანს, თქვენი აწინდელი მრევლი განსხვავდება ძველი საწყმსოსაგან. მაინც რაში გამოიხატება ეს განსხვავება?

**—მთავარი, რითაც აქაური მორწმუნენი განსხვავდებიან ჩემი ყოფილი მრევლისაგან, ესაა ნაკლები მზრუნველობა ეკლესიაზე. ცხადია, რომ ღმერთს არ სჭირდება კაცის სამსახური, ის თვითონ უმართავს ხელს მის ქმნილებას, მაგრამ ღვთისადმი სამსახური თვით კაცს სჭირდება. სჭირდება იმისათვის, რომ რწმენაში განმტკიცდეს, მცირედ მაინც ეზიაროს ღვთის სიდიადეს. აქ, ჩვეულებრივ, სანთლებისთვის დადიან ეკლესიაში და არა იმდენად სალოცავად. ალბათ, აღდგომას რომ სანთელი გვქონოდა გასაყიდად, მეტი ხალხი მოვიდოდა ტაძარში. ძველად კი ასე იყო — მორწმუნეს თვითონ მიჰქონდა წმინდა სანთელი ტაძარში, ხშირად შესწირავდა კიდეც ეკლესიას, მერე ამ შენაწირ სანთელს ეკლესიის მსახურნი ჩამოქნიდნენ, ლანგარზე დააწყობდნენ და მლოცველებიც უსასყიდლოდ იღებდნენ. ასეა დღეს, მაგალითად, გელათის ტაძარში, სადაც მორწმუნენი უფასოდ იღებენ წმინდა სანთლებს. განა უფალი წმინდა სანთლის ნელსურნელებას უფრო არ შეიწირავს, ვიდრე პარაფინისას?**

—ამიტომაც ხომ არ შენიშნეთ ერთხელ, რომ ამ მხარეს რაღაც სასჯელი ადევს?

**—ვფიქრობ, სასჯელი ნამდვილად ჰქონდა ლეჩხუმს. თვითონ განსაჯეთ. 2 წელია ეპარქიას ეპისკოპოსი ჰყავს, მაგრამ ეპარქიაში არ იყო ნამყოფი. ახლა კი ღვთის წყალობით და ჩვენი ლოცვა—ვედრებით მეუფე ჩამობრძანდა და მოიხილა ტაძარი.**

ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი სამნავიანი ბაზილიკაა. რევოლუციის შემდეგ მასაც სხვა ტაძრების ბედი ეწია, თუმცა დანგრევას გადაურჩა — აქ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდი იყო მოთავსებული. სწორედ იმდროინდელია ეკლესიის სარკმლების ქვეშ გამოჭრილი გისოსებიანი ფანჯრები. ღვთისმსახურებისათვის ტაძრის კარი მხოლოდ 1989 წელს გაიხსნა. მამა უჩა ასათიანმა, რომელსაც წილად ხვდა ათეულწლობით გამოკეტილი ტაძრის ამოქმედების მთელი სიმძიმე, აღადგინა კანკელი, გააწყო საკურთხეველი და ეკლესია. შემდგომ მამა კვირიკემ კანდელები და ზოგი ინვენტარი შემატა ტაძარს, მოასფალტებინა ირგვლივ შემოსავლელი გზა. ვერცერთმა მოძღვარმა დიდხანს ვერ გაძლო ცაგერში. იქნებ სულის სიმტკიცე არ ეყოთ, პრობლემები ხომ თავსაყრელია — მცირე მრევლი, მწირი შემოსავალი, ეკლესიის უსახსრობა. არადა თვით ეკლესიის თავმა, მაცხოვარმა და უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ დააწესა, რომ ღვთისმსახურთ მრევლი უნდა არჩენდეს. მამა იოანე მტკიცე სულის კაცი ჩანს და საფიქრებელია, მანამ არ მიგვატოვებს, სანამ მრევლსაც არ განამტკიცებს რწმენაში. ეს ხომ ყველაზე მეტად ჭირდება ჩვენს თავგზააბნეულ საზოგადოებას. სხვა გზა ხსნისა არ არსებობს. „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ — ამბობს მაცხოვარი, გვიჩვენებს რა ცხოვრების გზას. ბოლო ხანს გამოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც ქრისტეს სახელიც იფარეს ფარად და მით განაგრძეს ბოლშევიკების დაწყებული საქმე, მოუწოდებენ რა მართლმადიდებელ ქრისტიანებს დედა ეკლესიის მიტოვებისა და საეკლესიო ღვთისმსახურების უარყოფისკენ. ქრისტიანული სიწმინდეების, ჯვრის, ხატების ხელყოფა მათთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. სიცრუე ასაზრდოებს კომუნიზმის ამ ახალ სახეობასაც.

**მამა იოანე შეურიგებელია „იეღოველობასთან“, ისევე, როგორც ყველა მწვალებლურ მოძღვრებასთან, მაგრამ შეიწყნარებს „იეღოვას მოწმეთა“ ზოგ მიმდევარს, რომელთაც მოტყუებულ ადამიანად თვლის.**

—მამაო, თქვენ შეხვედრიხართ და გისაუბრიათ ე. წ. „იეღოვას მოწმეებთან“. როგორ ფიქრობთ ესენი საბოლოოდ დაღუპული ადამიანები არიან?

**—ეჭვიც არ მეპარება, რომ მათი ბოლო დაღუპვაა. ეს ადამიანები ბიბლიას იმოწმებენ სიტყვით, საქმით კი მის რევიზიას ახდენენ. წმინდა წერილის რევიზია გაუგონარი მკრეხელობაა. თუმცა მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ჯერ არ აღბეჭდილან სატანის დამღით. მათთან ლაპარაკი შეიძლება, მოსმენა შეუძლიათ და ამიტომ... ვფიქრობ, ამნაირები უნდა გადავარჩინოთ..**

ტაძარში ზოგჯერ ისინიც შედიან. თავიდან გაუბედავად, შიშით, მერე თანდათან უბრუნდებიან მამაპაპათა რწმენას. ზოგი სინანულისა და აღსარების შემდეგ ეზიარა კიდეც. გულმოწყალეა ჩვენი ღმერთი, მონანულთა მეძიე. იგი ყოველთვის სიყვარულით ჩაიკრავს გულში უძღებ შვილს, რომელმაც ცნო თავისი არჩეული გზის ცოდვილიანობა, შეინანა და მამის სახლს დაუბრუნდა. ამ სახლში ღვთის სიყვარული სუფევს. აქ განთიადისას მორბიან პატარა ბიჭები, მორჩილის სამოსს იცვამენ და მამა იოანეს ეხმარებიან ღვთისმსახურებაში. მათ არ ეძინიათ არც ღამისთევის, არც დილა სისხამზე თბილი ლოგინიდან წამოდგომა ეზარებათ მათი თანატოლებივით. ამ ბავშვებმა გამაოცეს გულმოდგინებით.

**მამა იოანე ყოველ წირვაზე მოიხსენებს ხოლმე მორჩილებს ბაქარს, დავითს და დავითს.**

—მამაო, როგორ ფიქრობთ, რატომ გეხმარებიან ეს ბავშვები ასე დაუზარლად? უფროსებს ისინი დილით უკვე ეკლესიაში ხვდებიან..

**—ღვთის სიყვარულია მათში და იმიტომ. უფალს უყვარს ბავშვები და მათით ამხელს უფროსებს — ამ ბავშვების [illegible] უნდა გახდეს მათი მშობლებისა და ახლობლებისთვის. საერთოდ, აქეთ სულ სხვანაირი ბავშვები არიან, წრფელები, მოყვარულები, ასეთებს ყველგან ვერ ნახავ. ჩვენი ტაძრის პატარა მორჩილებიც საოცარი ბავშვები არიან. აი, თუნდაც ბაქარი — სწორედ ღვთისადმია მოწოდებული.**

ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის კარს ახლა თითქმის ვერასოდეს ნახავთ დაკეტილს. მამა იოანე ცისკრიდან მწუხრამდე ეკლესიაშია, ღმერთს მსახურებს, თუ იქ ვერ ნახავთ, მაშინ უნდა იცოდეთ, რომ ან საავადმყოფოშია წასული მძიმე ავადმყოფის სანუგეშებლად და საზიარებლად, ან მისივე სახლში პარაკლისს იხდის, ან რომელიმე სკოლაში ბავშვებს (და პედაგოგებსაც) აწვდის ღვთის სიტყვას, ან ვისიმე სახლს აკურთხებს, ანდა სულაც მდინარეში ნათლავს ახლადმოქცეულებს. ამინდს მნიშვნელობა არა აქვს — მამა იოანეს არც სიცივის და წვიმის ეშინია, არც სიცხის, არც მარხვით დასუსტებული სხეული აბრკოლებს ღვთის სიყვარულით განმტკიცებულ სულს. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ გაიგონებთ, რომ, მაგალითად მამა იოანემ ერთ დღეს ლაჯანურში 70 კაცი მონათლა. არც ის ყოფილა შეუძლებელი ერთი კაცისგან, რომ 3—4 ღვთისმსახურის ნაცვლად შეასრულოს მთელი მსახურება, თანაც უნაკლოდ. არც ის უნდა გაიკვირვოთ, რომ ეკლესიის იმ მწირ შემოსავალსაც ლტოლვილ ბავშვებს და გაჭირვებულებს ურიგებს. და რამდენადაც გულმოწყალეა და კაცთმოყვარე, იმდენად მკაცრი და ზოგჯერ მრისხანეც, როცა უჯერო საქციელს ხედავს. ეს მამა იოანეა — იქნებ არასრული, მაგრამ, ვგონებ, მაინც ბევრის მთქმელი პორტრეტი, და თუმცა ყველა მღვდელი ღვთისგან ხელდასხმულობის გამო პატივისცემების მრევლისაგან, მაინც „ხუცესნი, რომელნიც კეთილად წინამძღვრობენ, ორმაგი პატივის ღირსნი არიან, მით უმეტეს ისინი, რომლებიც მუშაკობენ სიტყვით და სწავლით“. ეს წმინდა პავლე მოციქულის ბრძანებს ტიმოთეს მიმართ ეპისტოლეში (I, 5, 17,) მე არ მეშინია ეს სიტყვები პირში ვუთხრა მამა იოანეს, რადგანაც ვიცი, ღვთის სათნო სიმდაბლე ეყოფა იმისთვის, რომ ამპარტავნება ვერ მოერიოს.

**ია ხმელიძე.**

## მიზეზ-მიზეზ...

# თუ სიკეთეს ვერ შევიგრძნობთ...

ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ შარშან ოქტომბრიდან მოყოლებული ცაგერში არ ცხვებოდა ... პური პურსაცხობის რეკონსტრუქციის მოტივით. პურსაცხობი რეკონსტრუირებულ იქნა, მაგრამ პურის ცხობა არა და არ დაიწყო. მომხმარებელი მოითხოვდა ცხობის აღდგენას, განგაშს ტეხდა, მაგრამ ამაოდ. პურკომბინატის ხელმძღვანელობა არ იწყებდა ცხობას იმ მოტივით, რომ ძალზე ძვირი გვიჯდება, ზარალიან ორგანიზაციას კი არანაირი ფინანსური საშუალება არ გააჩნიაო.

ასე იყო თუ ისე, გავიდა ეს უშუალოდ გრძელი ხუთი თვე. რამდენი ოჯახი, რომელსაც არ შეუძლია პურის ცხობა — მარტოხელა მამაკაცები, ავადმყოფები და ა. შ.

ამიტომ დიდია მადლიერება რაიონის ახალი გამგებლის მიმართ, რომელმაც მოსვლის პირველი დღიდანვე იზრუნა პურის ცხობის აღდგენისთვის და შეძლო კიდეც. პირველ რიგში ქალაქის თორნეები ამოქმედდნენ და ადამიანებმაც ამოისუნთქეს. თურმე, თუ გული გულობს, თუ შეჭირვებული კაცის ტკივილი გეტკინა, ყველაფერს შეძლებ.

და გვახსენდება: ზარალი ზარალია, პრაქტიკულად არ შეიძლება გამომცხვარი პურის გაყიდვა, ჯგლეთასა და დავიდარაბაში ხალხი იტაცებს პურს, დაარბევს ფურნეს, რა არგუმენტები არ მოჰყავდათ, რომ არ დაწყებულიყო ცხობა. დღეს თვალნათლივ ვხედავთ რომ [illegible] იყიდება პური, [illegible]ლთათვის ცალკე, ჩვენთვის ცალკე. არავითარი რიგი, შეხლა—შემოხლა და უწესრიგობა. როცა ორგანიზებულად, ნორმალურად კეთდება რამე ზემოდან, იშვიათია ხალხმა დაარღვიოს წესრიგი.

(დასასრული მე—4 გვერდზე)

# ხ ს ო ვ ნ ა

## მურთაზ კაპიტონის ძე კოპალიანი

დღეები რიალით მიქრიან, იები მოღეულან, მერცხლები მოფრენილან... შენი დაბადების დღეც მოსულა... უშენოდ მოპარულა, მურთაზ! უსაშველო სევდა მოუცლია თან. შენი ხილვისა და მონატრების უსაზღვრო სურვილით, ყველაფრის ხალისი წავიდა შენი ახლობლების გულებში, ყველა სიხარული ჩანავლულა... ცრემლი იმდენი დაღვრილა, თითქოს გამშრალა... შავით შემოსილან, სანთელი აუნთიათ შენი სულის სადიდებლად, სუფრა გაუწყვიათ შენს მოსაგონებლად, დედა აგიტირებია, ცოლი დაგიძვრივებია, შვილები დაგიობლებია, მურთაზ...

რამდენი ოცნება აუხდენელი დაგრჩენია, ფიქრები გაგფრენია, ღიმილი სახეზე შეგყინვია, კაცური კაცის სახელი დაგიტოვებია, სიკეთე და სიყვარული გითესია, მურთაზ.

მაგრამ ბედი კი... თურმე მწარე ხვედრს გიმზადებდა... მხოლოდ სიკეთე და სიყვარული რომ ყოფილიყო ამ ქვეყანაზე — ხომ აგვცდებოდა ეს უსაშველო ტკივილი, სევდა.

შენი სიკვდილი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა, როგორი უბრალო იყო, მაგრამ რა გულდასაწყვეტი, შენ ხომ დიდი და კეთილშობილი იყავი! სიცოცხლე ხალისობდა შენში. შეგეძლო დაუზარლად გაგეცა უკანასკნელი გროშებიც ოღონდ ვინმესთვის სიამოვნება მიგენიჭებინა, როგორ გვაამაყებდი, შენი ასეთი სიდიადით, შენ და აზა ხომ სიყვარული და სიკეთე იყავით, კარგი სახელი დატოვე, სახელი ხომ სიკვდილსა ჰგავს, როცა საჭიროა თავად მოგაკითხავს, შენმა სახელმა ნათელყო შენი სიდიადე.

გნატრობთ... გვინდა ისევ ჩამოიქროლო მანქანით ჩვენი ფანჯრების ძირმა და ისევ ისე ქველეგურად გადმოგვძახო: „ჩემს ქალბატონს გამოასხლეთო“, გვინდა აზას ისევ გაუბრწყინდეს თვალები, ისევ ისე აიტაცოს სიხარულმა, ისევ გავიგონოთ „მუთია მოვიდაო“ მისგან, მაგრამ... ბედის ირონიაა ევაც. აზა შავით შემოსილა, სიცოცხლის ხალისი ჩანავლულა მის თვალებში, სევდა და ტკივილი დაბუდებულა მის სულსა და გულში, გაკერპებულა და გაქვავებულა ყოველი მასში, რაც დრო გადის მით უფრო აუტანელი ხდება მისთვის უშენობა... ჩვენთვისაც, მურთაზ. ჩვენ ყველას გვტკივა აზას სატკივარი, ვცდილობთ ავავსოთ ის სიცარიელე, რაც უშენობამ დატოვა მასში.

ჩვენ მოვალთ შენს საფლავზე, დაბადების დღეს მოგილოცავთ, მურთაზ... და სანთლებს აგინთებთ შენი სულის სადიდებლად, ნათელვყოფთ შენს მარადიულ ხსოვნას — როგორც ჩაუქრობელ ლამპარად ანთია შენი ახლობლების გულებში.

ცაგერის შემნახველი ბანკის კოლექტივი.

## ზაირა (ციცო) ბურჯანაძე—ნემსწვერიძე



ისევ მოვიდა მაისი, შენი დაბადებისა და შენი გარდაცვალების თვე. რა უცრად გავიდა 1 წელი, არადა თითქოს გუშინ იყო, ერთად რომ ვიყავით, ვიცოდით, ვერ შევეჩვეოდით უშენობას, ვერც შევეჩვიეთ. ყოველი დღე კი არ გვაშორებს შენთან, არამედ გვაახლოებს, სევდას კი არ გვინელებს დრო, არამედ გვიმატებს. ჩვენი სახლის ყოველ კუთხეში შენი ლანდი დაგორიალებს და სახლიდან გასულებსაც თან გვდევს უჩუმრად.

შენ არასოდეს მიგვატოვებდი, შენი ნება რომ ყოფილიყო, მაგრამ განგების ნებას სხვა ვინ გადაუვიდა, შენ გადასვლოდი. ყველაფერი გეჩქარებოდა. როდის მომესწრებაო შვილების სკოლის დამთავრება, ჩქაროგდი მათ სწორ გზაზე დაყენებას.

მიდის დრო, მიდის მძიმედ და დარდიანად, მაგრამ არა და არ მიაქვს ის სევდა, შენ რომ დაგვიტოვე. ვერა და ვერ კურნავს იმ ტკივილს, შენი სიყვარული რომ ჰქვია, ციცო! სრულქმნილი ადამიანი ამქვეყნად არ დაბადებულა, მაგრამ თუ არსებობს საერთოდ სრულქმნილება, შენ ყველაზე უფრო ახლოს იყავი მასთან.

...ისევ მოვიდა მაისი, შენი დაბადებისა და შენი გარდაცვალების თვე, ციცო! მოვიდა უშენოდ და კი არ წაიღო, არამედ მოიტანა ახალი სევდა და შენზე დარდი...

შენი ოჯახი.

## პეტრე რაფიელის ძე კვირკაშვილი

გაზაფხულის საღამოა, წვიმს, იისფერი ნისლი ჩამოწვა ირგვლივ. ძილ—ღვიძილში ვარ თითქოს, მინდა გავიხსენო ცისფერი სიზმარი. შენი სახე რომ მედგა თვალწინ, თაფლისფერი თვალები... მე ახლა მხოლოდ გნატრობ თითქოს ისევ ჩემს გვერდით ხარ... მერე თანდათან დაცარიელდა ქვეყანა და დავრჩი მარტო გაყვითლებულ მოგონებებთან, რამდენი წელი გასულა, პეტო. საფლავის ქვაზე კი სიცოცხლე გაყინულა, მარად ახალგაზრდა და ღიმილიანი დარჩენილხარ. ჩუმად ვიცრემლები. მე ისევ შენით ვამაყობ, რადგან ერთდროს შენს გვერდით ვიყავი, შენეული ბევრი რამ გამომყვა... და უპირველესად ის უდიდესი სიკეთე, რომელიც შენგან დამოუკიდებლად, ბუნებრივად გავშვური გულუბრყვილობით თან მდევდა ხოლმე, ძლიერი იყავ, დიდი და კეთილშობილი. მიხარია, რომ შენ არსებობდი ამ ქვეყნად და ვისაც კი შენთან რაიმე სიახლოვე ჰქონდა, ყველანი კეთილად და ლამაზად გიგონებს, პეტო.

მაისი დადგა, შენი დაბადების დღე უშენოდ შემოაბიჯებს ჩვენთან... რა კარგი იქნებოდა სამყარო, ადამიანები ქვეყნად მხოლოდ სიკეთისთვის, სიყვარულისთვის რომ ცხოვრობდნენ. მაშინ შენ ხომ ცოცხალი გვეყოლებოდი, პეტო და ჩვენც აღარ ვიქნებოდით მხრებჩამოყრილი, სევდიანი, უიმედო... შენ დიდი იყავ, იმდენად დიდი, რომ ყველაფერს ავსებდი ირგვლივ და შენმა სიკვდილმა შენ, სიდიადე ნათელყო, რამდენიმე წელია უკვე მე უშენოდ, მარტო ვხვდები გაზაფხულსა და შენს დაბადების დღეს. მახსოვს, ერთხელ როგორი გულისტკივილით შემომჩივლე: „ჩემს დაბადების დღეს მარტო შევხვდიო“. გარინდებულს, მოგონებებში ჩაძირულს თითქოს ჩამესმის შენი სიცილი, პეტო. გვაპატიე... იქნებ სათანადო პატივი ვერ მივაგეთ შენს ხსოვნას, ასე სევდიანს, ასე გულმოკლულს ისლა დამრჩენია შენი სულის სადიდებლად შევთხოვო ღმერთს... მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა.

ახლობლების სახელით ნატო მურცხვალაძე.

## მამუკა გურგენის ძე ასათიანი

გაზაფხულის ნაზი, მსუბუქი მზე და იასამნები გვესტუმრნენ სახლში და შენ მოგიკითხეს... გაკვირვებულმა ხეებმა (ყვავილები და კვირტები რომ გამოისხეს) უშენობის მიზეზი მკითხეს. შენს სახლში კი შემზარავ სიჩუმეს დაუსადგურებია...

ბედისწერის სუსხმა ცხოვრების ლამაზი გზა ავბედითი მდუმარებით შეჭირხლა. წახვედი და გაოგნებულ ახლობლებს, სასოწარკვეთილებს განსაკუთრებით ძმასა და დედას დიდი კითხვის ნიშანივით დაუტოვე იდუმალი ტკივილი... ო, რა თავზარდამცემი იყო ყველასთვის შენი სიკვდილი (საშინელ სიზმარს ჰგავს ყველაფერი), მაშინ ვიწამე, ღმერთსაც საუკეთესოები უნდაო. რა ცოტახანს იცოცხლე მამუ, 9 მაისს 28 წლის ხდები. ამჯერად სევდის, უსაზღვრო ტკივილისა და ცრემლის დღე დაგვიყენე... წარმოუდგენელია უშენობა!

ახლა შენ სურათებიდან შემოგვცქერი და სევდიანი, ალალი თვალებით გვეკითხები — როგორ ძლებთ უჩემოდ?!.

გვენატრები მამუ, უსაზღვროდ გვენატრები, რა შეგვიცვლის შენს მორიდებულ, ალალ ღიმილს, იმ დიდ სიყვარულს და სითბოს, რომელსაც გულუხვად არიგებდი..

რას იფიქრებდი, ბედობა დღეს, შენს საყვარელ ადგილას თუ დაასრულებდი ლამაზ სიცოცხლეს, ისე ჩუმად წახვედი, ვაის თქმაც ვერ მოასწარ.

წახვედი ამ ქვეყნიდან სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებული და თან წაიყოლე ბევრი აუხდენელი ოცნება — შენ ხომ ოჯახის შექმნაც ვერ მოასწარ.

ნათელი დასდგომოდეს შენს კეთილ სულს!

ეზოში ხეები და ფოთლები შენი სითბოთი სუნთქავენ, მოჟღურტულე მერცხლები დაბადების დღეზე გელოდებიან..

უშენოდ ძალიან, ძალიან დავიღალეთ, მაგრამ ამ უსასრულო სამყაროში უსასრულოდ გელოდებით და მოდი აუცილებლად!

შენი „იო“.

## ზაურ ასტერის ძე კოპალიანი

7 მაისს 3 წელი შესრულდება იმ ავადმოსაგონარი დღიდან, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ, აღარ ძგერს შენი ვაციებული გული, როგორ გინდოდა სიცოცხლე, მაგრამ გოროტმა ხელმა არ დაგინდო და და უდროოდ მოგწყვიტა ოჯახს, მეგობრებს. მოგვენატრა შენი სითბო, სიყვარული გვენატრები და საოცრად გვენატრები მისთვის.

ემდა დაგვრჩენია მოვეფეროთ შენს სურათებს, ავინთოთ სანთელი. შენ ხომ ყველა პატივისცემითა და სიყვარულით გიგონებს.

გილოცავთ დაბადების დღეს, მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა.

მარადიულ ნათელში ყოფილიყოს შენი წმინდა სული.

ოჯახი.

# თუ სიკეთეს ვერ შევირგებთ...

(დასასრული).

ერთი სიტყვით, მადლობა ყველას, ვინც პირველი რიგის საქმე მოგვიგვარა.

მიუხედავად საერთო კმაყოფილებისა, გამოჩნდნენ ისეთნიც, რომელთაც არ აწყობთ გამომცხვარი პურის მიღება, რაიონულ საკრებულოში ოფიციალურადაც კი აყენებენ თავიანთ მოტივებს.

მოგვყავს ქალაქის მოსახლეობის ერთი ჯგუფის მოთხოვნის შინაარსი:

„ჩვენი კუპონების პატრონს ლავაშის ყიდვა ყოველდღიურად არ შეგვიძლია, დილიდან გვიან საღამომდე რიგში ვართ, ზოგჯერ დენი არ არის და დღის პური გვეკარგება, გთხოვთ მოგვცეთ ჩვენი ნორმა ფქვილი." განცხადებას ხელს აწერს 46 მოქალაქე.

ამ ადამიანებს, ეტყობა შეხსენება სჭირდებათ, რომ გამომცხვარი პური უფრო იაფად გვეძლევა, ვიდრე ფქვილი, რიგები კი საერთოდ აღარ არსებობს, დენის წყვეტილობაც ძალზედ იშვიათობაა.

და რაც ყველაზე ცუდია, ამ განცხადებაში 46-ის აზრი არ ფიგურირებს. ვიღაც ერთს ან ორს საკუთარი სურვილები აქვს, უბრალოდ აკეთებს სიას, რომელსაც ხელსაც არავინ აწერს. თქვენ წარმოიდგინეთ, სიაში ისეთებიცაა, რომელთაც ათეული წლებია ცაგერში არ უცხოვრიათ. მათ პურს სხვა იღებს და ის სხვა იმის მაგივრად გაჩუმდეს, მაინც, ხმაურობს აქეთ გვედავება. ცოდვა ქვას ჰქონდეს, მაგრამ ის სხვა ფქვილს რომ ითხოვს, თუ კი მისცემენ, გამომცხვარ პურსაც მშვენივრად იშოვის. ჰოდა, რას კარგავს?

ფქვილს ითხოვენ აგრეთვე № 2 ორმოცბინიანი სახლის მცხოვრებნიც, იმ მოტივის დამატებით, რომ შაბათ-კვირას სოფლად მიდიან და პური ეკარგებათ, ანალოგიური მოთხოვნა აქვთ ალმაშენებლის ქ. №43-ში ორმოცბინიანი სახლის მცხოვრებთაც.

ერთი სიტყვით, მიზეზ-მიზეზო, ისეა ჩვენი საქმე. ახლა თორნეებს ქალაქის პურსაცხობი დაემატა. ასე რომ, მავანთა პრეტენზიები არასწორია, და მოთხოვნა უსაფუძვლო.

გვიჭირს [illegible] ძვირი, მართლაც ძვირი ჯდება დღეს პურის ცხობა. აბა, ვიანგარიშოთ საწვავი, საფუარი; ტრანსპორტი, მუშახელის ხელფასი, მარილი (ყველაფერს ვეცხლი უკიდია) და ა. შ. მაგრამ მაინც დაიწყო და ნორმალურად მიდის პურის ცხობა და შევირგოთ ეს სიკეთე, მივირთვათ გნებავთ ლავაში, გნებავთ, ფურნის პური.

---

**ნათელა კოპალიანს, მამია სადილიანს**

გილოცავთ ბედნიერებას, იხარეთ და იმრავლეთ.

**ზურია სალინაძე, ზვიად ზაქაიძე ოჯახებით.**

---

**ნინო ბენდელიანს, გია ჩხაიძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. გფარავდეთ ღმერთი.

**ფატი, ნატო, მაია; იმედა; ზაზა; გია.**

---

**ლეილა მეშველიანს, ზურაბ ნემსწვერიძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ, იმრავლეთ.

**რამაზ ახვლედიანი, მურთაზ გურჯალიანი, გუხუტი მეშველიანი, ბელა მამარდაშვილი, ტარიელ დავითულიანი ოჯახებით.**

---

**ნათელა კოპალიანს, მამია სადილიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ, იმრავლეთ.

**ლალი, ამირან სალინაძეები.**

---

**ეკა, მურთაზ ჩაჩხიანებს**

გილოცავთ ბედნიერებას.

**სოფო, მერაბ ახვლედიანები, ბესიკ; ბაკური; ფატი, გოჩა, მირიან; ზაიბული; გოგი; მარიკა; გიორგი ტვილდიანები.**

---

**ნათელა, მამია სადილიანებს**

გილოცავთ ბედნიერებას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

**ნანი და ბადრი სალინაძეები.**

---

**მთვარისა, მირმან შკუბულიანებს**

გილოცავთ ხათუნას ბედნიერებას. იხაროს თქვენმა ჭერმა.

**გივი გიორგობიანი ოჯახით.**

---

**ციცო სადილიანს**

გილოცავთ ძმის ბედნიერებას. გფარავდეთ ღმერთი.

**ციური, ლეილა კვირკაშვილები.**

---

**ნელი, ლიონერ, გოგი; ბაბა მეშველიანებს**

გილოცავთ მაიას ბედნიერებას.

**ცაგერის ხანძარსაწინააღმდეგო პოლიციის თანამშრომლები.**

---

**მერი, ალბერტ მახარობლიძეებს**

გილოცავთ ეკას ბედნიერებას.

**ჟენია, ანიჩკა, თინა, გურამ, ზურაბ; ანზორ; ლერი ტვილდიანები.**

---

**იზა, ლამზირა დავითულიანებს**

გილოცავთ დისშვილის შეძენას. ღმერთი იყოს მისი მფარველი.

**მარინე და ლელა.**

---

**ნუნუ კოპალიანს**

გილოცავთ ნათელას ბედნიერებას.

**ბადრი სალინაძე.**

---

**ნანული, რეზო მურცხვალაძეებს**

გილოცავთ შვილების ბედნიერებას და შვილიშვილის შეძენას.

**ზაალ კოპალიანი ოჯახით.**

---

**ნატო, ბენადი კოპალიანებს**

**ლილი, ჯემალ დავითულიანებს**

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას.

**გია, ცაგუ, ნორა; ირინე; თამილა; ლეილა; ნუნუ; ანჟელინა, ნუნუ, ნანული.**

---

**ნატო, ბიბო ზურაბიანებს**

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ქალი.

**მანანა გურული.**

---

**ლეილა ფრუიძეს**

გილოცავთ დაბადების დღეს.

**ლვირიშის საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეები.**

---

**მამუკა, ნონა მურცხვალაძეებს, ნორა თვარაძეს**

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ქალი.

**გოგიტა, მთვარისა, ელისო ლიპარტელიანები.**

---

**ნატო, ბენადი კოპალიანებს**

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.

**მალხაზ ბენიძე ოჯახით.**

---

**ნატო და ბენადი კოპალიანებს**

**ლილი, ჯემალ დავითულიანებს**

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის თორნიკეს შეძენას. აღზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.

**მირანდა, მაყვალა, ვაჟა ლიპარტელიანები.**

---

ლვირიშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს კაშა, ოლეგ, მზია გიორგობიანებს დისა და დეიდის

**ნინა ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის შემნახველი ბანკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გიორგი გასვიანს ბებიების

**თამარ გასვიანის**

**დარიკო კვირკაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ცენტრალური რაიონული აფთიაქის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჟოზია ჭაბუკიანს სიძის

**გოგი შარაბიძის**

გარდაცვალების გამო.

---

გუხუტი ხეცურიანი ოჯახით თანაუგრძნობს ოლეგ გიორგობიანის ოჯახს

**ნინა ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლვირიშის საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი ლეილა ფრუიძე თანაუგრძნობენ მზია გიორგობიანს დეიდის

**ნინა ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ნაირა ქარსელაძე ოჯახით თანაუგრძნობს ლილი დაშნიანს მეუღლის

**ჟორა ქურასბედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

მელორ დავითულიანი ოჯახით თანაუგრძნობს შახმან გუგავას სიძის

**ომარ მახარობლიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ქალაქის ბიბლიოთეკების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მარადი მახარობლიძეს დეიდაშვილის

**ომარ მახარობლიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ზურაბ, მამია დაშნიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ლილი დაშნიანს მეუღლის

**ჟორას**

გარდაცვალების გამო.

---

ზაურ ახვლედიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**გოგუცა კობერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

გივი კვირკაშვილი, მამუკა ქარსელაძე, რომანოზ სანებლიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**მიშა გუგავას**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საფინანსო განყოფილებისა და საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ იამზე, ზრიშა ახვლედიანებს მამის

**ბიძინა ლოგუანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

რეზო სალინაძე, ომარ ჭაბუკიანი, გურამ ხმელიძე, ზაურ ბენიძე, შიო ახვლედიანი, შოთა ასათიანი, ვაჟა ჭაბუკიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ზვიად ჯემალის ძე სალინაძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ვილგემ კოპალიანი, ზაურ ყურაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**მიშა გუგავას**

გარდაცვალების გამო.

---

ჟორა მეშველიანი, ნაზი ლიპარტელიანი, ნორა, რეზო ტვილდიანები, მიშა, ნუცა, ფოდო, სოსო, ვახტანგ, ანზორ, ამირან კვირკაშვილები, გუჯუ, ზურაბ სვანიძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ნელი სვანიძეს ძმის

**ბიჭიკო მურცხვალაძის**

გარდაცვალების გამო.

---

**დამფუძნებელი—რედაქციის კოლექტივი**

**რედაქტორი ნ. ნემსაძე.**

**გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე.**

**რედაქციის მისამართია: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56 ტელეფონი 28—31.**

**ცაგერის რაიონული სტამბა**